

თავი 15 სიცარიელე ხელოვნების სანაცვლოდ

სახელმწიფო ბიბლიოთეკის შენობა ორსართულიანი იყო, შთამბეჭდავი ქვის ფასადით. მდიდრულად ჩაცმულ ადამიანთა ჯგუფი შესასვლელთან შეგროვილიყო და რიგს ელოდა. მათ თითქოს არ ესმოდათ უკან, სკვერში გამართული დავა. ჯონათანი ხალხის ჯგუფს შეუერთდა და კარების თავზე ვერცხლისფერი დიდი ასოებით დაწერილი ინტერესით წაიკითხა: „ლედი ბეს ტვილის სახალხო ბიბლიოთეკა“.

მნახველებმა, რომლებიც ჯგუფის უკანა რიგებში იდგნენ, კისრები წაიგრძელეს რომ დაენახათ, წინ რა ხდებოდა, თან ხმამაღლა წამოიყვირებდნენ ხოლმე, რასაც ხედავდნენ.

– გადასარევი, – წაიხურჩულა ნაწილმა.

– გასაოცარია, – თქვეს სხვებმა.

ჯონათანი შეეცადა, დაენახა, რამ მიიპყრო მათი ყურადღება. მარჯვედ და მოხერხებულად გაძვრა-გამოძვრა ბრბოში და შესასვლელში ბიბლიოთეკარის მაგიდას მიაღწია.

– რაზე ამბობს ეს ხალხი გადასარევი და გასაოცარიაო? – ჰკითხა მან მაგიდასთან მჯდომ კაცს.

– ჩუ! ძალიან გთხოვთ, ხმას დაუწიეთ, – მკაცრად უბასუხა კაცმა, მერე კუთხეში მიწყობილი ბარათების გროვა გადმოიღო და ჯონათანს გადაუშალა, შემდეგ წინ გადაიხარა და ნახევარჩარჩოიანი სათვალის ზემოდან ახედა.

– ესენი საბჭოს ხელოვნების კომისიის წევრები არიან. მათ ახლახან გახსნეს გამოფენა, რომელიც ჩვენი კოლექციის უახლეს შენაძენს მიეძღვნება.

– რა მშვენიერია, – დაიხურჩულა ჯონათანმა და კისერი წაიგრძელა, რათა ექსპოზიცია დაენახა და თან ხმამაღლა განაგრძო:

– ძალიან მიყვარს ნამდვილი ხელოვნება, მაგრამ სად არის ნიმუშები? ვერ ვხედავ, ალბათ ძალიან პატარებია?!

– გააჩნია, ამ საკითხს როგორ შევხედავთ, – წაიფრუტუნა ბიბლიოთეკარმა – ზოგი იტყვის, რომ ძალიან ძვირია. სწორედ ეს არის ნიმუშის სილამაზე და მას „ფრენაში თავისუფალი“ ჰქვია.

– კი მაგრამ, ვერაფერს ვხედავ! – თქვა ჯონათანმა და შესასვლელის ზემოთ დიდი თეთრი სიცარიელის შეთვალეურების შემდეგ წარბი შეიკრა.

– სწორედ ამაშია საქმე, შთამბეჭდავია, არა? – ბიბლიოთეკარი იმ სითეთრეს უაზრო, მეოცნებე გამომეტყველებით მიაშტერდა. – ადამიანის მებრძოლი სულის სრული სურათის შექმნა შეუძლებელია, რადგან პიროვნება მხოლოდ მაშინ შეიგრძნობს სილამაზეს, როცა მისი შინაგანი ბუნება ხელოვნების ნიმუშის ხატოვნებას ემთხვევა. ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშს ყველა თავისებურად აღიქვამს.

გაკვირვებულმა ჯონათანმა თავი გააქნია და დაბნეულმა იკითხა:

– კი, მაგრამ, აქ ხომ არაფერი ჰკიდია? როგორ შეიძლება სიცარიელე ხელოვნება იყოს?

– ჰოდა, სწორედ ეს არის ნამდვილი ხელოვნება. საბჭოს ხელოვნების კომისიას გემოვნებით შერჩეული ლატარია აქვს სელექციისთვის. – თქვა ბიბლიოთეკარმა.

– ლატარია ხელოვნების ასარჩევად? – იკითხა გაოცებულმა ჯონათანმა, – ლატარია რა საჭიროა?

– ადრე ნამდვილი ხელოვნების საბჭო ინიშნებოდა, რომელიც სელექციას ახდენდა, – უბასუხა მამაკაცმა, – თავდაპირველად საბჭოს ტენდენციურობაში სდებდნენ ბრალს, რადგან ნამუშევრებს სუბიექტურად ირჩევდნენ, ხოლო იმას, რაც არ მოსწონდათ, ცენზურას უწესებდნენ. რაკი ჩვეულებრივი მოქალაქეები გადასახადს იხდიდნენ საბჭოს სასარგებლოდ, ხალხმა უარი განაცხადა, რომ სადავეები მხოლოდ ელიტას ჰქონოდა ხელთ.

– სხვა საბჭო რომ დაგენიშნათ? – იდეა გაუჩნდა ჯონათანს.

– ო, ეს ბევრჯერ ვცადეთ, მაგრამ საბჭოს წევრები არასდროს ეთანხმებოდნენ გარეშე პირებს, ასე რომ, მათ საბოლოოდ გამოუთხარეს ძირი საბჭოს იდეას და მას შემდეგ კომისია და ლატარია გაჩნდა. ყველა დაეთანხმა იმ აზრს, რომ ლატარია ერთადერთი ობიექტური მეთოდი იყო. ნებისმიერს შეეძლო მონაწილეობა მიეღო კონკურსში და თითქმის ყველა ასე იქცეოდა კიდევ! ლორდთა საბჭომ მაქსიმალურად გულუხვი პრიზი დააწესა. ნამუშევარმა „ფრენაში თავისუფალი“ ნახატებში ამ დილით გაიმარჯვა.

ჯონათანი ისევ ჩაეკითხა:

– რატომ არ შეიძლება, ყველამ იყიდოს ის ნამუშევარი, რაც სურს და ლატარიის ბილეთისთვის ფული არ გადაიხადოს?

– რაა?! – წამოიყვირა ბიბლიოთეკარმა. – ზოგიერთმა ეგოისტმა შეიძლება არაფერი იყიდოს, ზოგს შეიძლება, ცუდი გემოვნება ჰქონდეს. არა, რას ამბობ, ლორდებმა უნდა გამოსხატონ თავიანთი მხარდაჭერა ხელოვნებისადმი!

კაცმა ყურადღება ისევ „ფრენაში თავისუფალზე“ გადაიტანა და გულხელდაკრეფილს სახეზე ამოუცნობი და ბუნდოვანი გამომეტყველება გამოეხატა.

– კარგი არჩევანია, შენ რას იტყვი? სიცარიელეს ის უპირატესობა აქვს, რომ ბიბლიოთეკის შესასვლელში ხმაური და აურზაური არ ატყდება და გარშემო სიმშვიდეა, – ბედნიერად განაგრძო კაცმა, – უფრო მეტიც, ვერავინ შეეწინააღმდეგება ხელოვნების ხარისხს ან შედეგის ესთეტიკურ სტილს. ამით ვინ შეიძლება განაწყენდეს?